შეთანხმება

2014 წლის 23 ივლისის N040901/14/2099 ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ

ქ. თბილისი 22 იანვარი 2015 წ.

ერთი მხრივ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, თამაზ მოდებაძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. "ავერსის კლინიკა" (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით, „2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის N650 დადგენილებით, „იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2014 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2015 წლის შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N723 დადგენილებით, მხარეთა შორის 2014 წლის 23 ივლისს გაფორმებული N040901/14/2099 ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება“) მე–8 მუხლის 8.1. პუნქტის გათვალისწინებით, ვთანხმდებით ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე და ამ მიზნით:

1. **ხელშეკრულების მე–4 მუხლის 4.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების გაწევის/საქონლის მიწოდების დაწყების თარიღი განისაზღვრება არა უგვიანეს 2015 წლის 3 მარტისა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში არ დაიწყება მომსახურების გაწევა/საქონლის მიწოდება, ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.“

2. **ხელშეკრულების მე–10 მუხლის 10.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 3 აპრილის ჩათვლით“.

3. ხელშეკრულების ის პუნქტები, რომელთაც არ შეხებია შეთანხმება, უცვლელი რჩება.
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
5. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.
6. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა, შეთანხმების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ხოლო ორი - „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“

სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტო"
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ.N144,
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927

თამაზ მოდებაძე
დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. "ავერსის კლინიკა"
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №27/ბ
საიდენტიფიკაციო კოდი №212002580
ს.ს. "საქართველოს ბანკი"; ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE05BG0000000170821600

დიმიტრი ჯორბენაძე
გენერალური დირექტორი

ვიზირებულია: ლ. მამულაშვილი

მ. ნასყიდაშვილი

ბ. დათუკიშვილი

მ. ქიმერიძე